საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-42

26/01/2022

ქ. თბილისი

**დაბა გომისმთის განაშენიანების გეგმაზე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 25-ე მუხლის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილ დაბა გომისმთის განაშენიანების გეგმაზე გაიცეს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნა;
2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ სგშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა და სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფცია განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდსა და საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი